სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/27

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 6 ივნისის №0000634202 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 6 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ საშტატო განრიგი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2025 წლის 6 ივნისის №0000634202 წერილით წარმოდგენილი პარამეტრების თანახმად;
2. „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ საშტატო განრიგი ამოქმედდეს 2025 წლის 15 მაისიდან;
3. ცვლილებები აისახოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგში;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**